მინდობილობა

გ.ნ ამრ გამალ აბდელათი აბდელგანი (პ/ნ: A27306344, 01391025956), როგორც შპს „იორკ ჰოლდინგ გრუპის“ (ს/ნ:430800733) დირექტორი, შემდგომში „მარწმუნებელი“ ლუკა ჩაგანავას (დაბ. 16.10.1991წ. პირადი ნომერი: 01017043074) შემდგომში „რწმუნებული“, წინამდებარე მინდობილობით ვანიჭებ შემდეგ უფლებამოსილებას:

აღნიშნული მინდობილობის განსახორციელებლად „რწმუნებული“ უფლებამოსილია „მარწმუნებლის“ თანასაკუთრებაში არსებულ ნებისმიერ უძრავ ქონებასთან დაკავშირებით წარმოადგინოს შპს „იორკ ჰოლდინგ გრუპი“-ის (ს/ნ:430800733) ინტერესები ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, მერიაში და მის დაქვემდებარებულ ორგანიზაცია/დაწესებულებებში, გამგეობაში, საკრებულოში, სსიპ არქიტექტურის სამსახურში, სსიპ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში ტექნიკური აღრიცხვის არქივში, საკუთრების უფლების აღიარების კომისიაში, საკადასტრო და სხვა შესაბამის სამსახურში, გაზისა და ელექტროენერგიის მომმარაგებელ კომპანიებში, მუნიციპალურ ინსპექციაში, ლეგალიზაციის კომისიაში, ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროში, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროში, საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროში და ყველა იმ საჯარო დაწესებულებაში სადაც „რწმუნებულმა“ უნდა მიმართოს ამ მინდობილობით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად:

„რწმუნებული“ უფლებამოსილია „მარწმუნებლის“ სახელით მოახდინოს ნებისმიერ უძრავ ქონებაზე ნებართვის მიღება, მათ შორის მშენებლობისა და ქალაქგეგმარებითი ნებართვების მიღება, მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების შეთანხმება, პროექტის შეთანხმება (მათ შორის არქიტექტურული პროექტი) ან/და პროექტის კორექტირება, სამშენებლო კოეფიციენტის მაჩვენებლის გაზრდა ან შემცირება, საპროექტო ტერიტორიის ახალი მონაცემების დაფიქსირება, ნებისმიერი უძრავი ქონებების გაერთიანება და სხვა. რწმუნებული უფლებამოსილია „მარწმუნებლის“ სახელით წარადგინოს ჩააბაროს ან/და მიიღოს, გამოითხოვოს ნებისმიერი დოკუმენტი, განახორციელოს ნებისმიერი მოქმედება და პროცედურა, მათ შორის მოახდინოს ფართის დაზუსტება, გააკეთოს აზომვითი ნახაზები, პროექტები, შეიტანოს ყველა სახის განცხადება შესაბამის დაწესებულებაში. საპროექტო სამუშაოების შესრულებისთვის აწარმოოს ექსპლუატაციასთან დაკავშირებული მოქმედებები. გადაიხადოს გადასახადები, ატვირთოს მოთხოვნა მერიის არქიტექტურის სამსახურის ელექტრონულ გვერდზე, შეადგინოს პროექტი, გადააკეთოს პროექტი, შეიტანოს კორექტირება პროექტში, დაადგინოს ნებისმიერი იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტი, დაესწროს საქმის განხილვას, ადმინისტრაციულ წარმოებას, რა დროსაც მარწმუნებლის სახელით უფლება აქვს ხელი მოაწეროს საჭირო დოკუმენტებს, ჩააბაროს დოკუმენტები სარეგისტრაციოდ, გადაიხადოს გადასახადები, სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შემთხვევაში შეასწოროს ნებისმიერი ხარვეზი. აიღოს ახალი ამონაწერი, აგრეთვე გაგზავნოს

of

ნებისმიერი სახის კორესპონდენცია და შეასრულოს ყველა ის მოქმედება რაც დაკავშირებულია „მარწმუნებლის“ მიერ გაცემული დავალების შესრულებასთან.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით „რწმუნებული“ უფლებამოსილია „მარწმუნებლის“ სახელით მოაწეროს ხელი ნებისმიერ დოკუმენტაციას და შეასრულოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა ის პროცედურა და მოქმედება, რაც აუცილებელია მარწმუნებლის მიერ მინიჭებული უფლებამოსილების ჯეროვნად და კეთილსინდისიერად განსახორციელებლად.

წინამდებარე მინდობილობა ძალაშია 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

შპს „იორკ ჰოლდინგ გრუპი“

დირექტორი

ამრ გამალ აბდელათი აბდელგანი

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N240311587
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	14.03.2024 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	სალომე სალუქვაძე
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი, მერაბ ალექსიძის ქ. #13, I სართული, კომერციული ფართი #4, 3ა
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	577921111
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	42052815704324

ორიათას ოცდაოთხი წლის თოთხმეტ მარტს, მე, ნოტარიუსს სალომე სალუქვაძეს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, მერაბ ალექსიძის ქ. #13, 1 სართული, კომერციულ ფართ #4,3ა-ში, დამიკავშირდა ამრ გამალ აბდელათი აბდელგანი და მიმიწვია მისამართზე: ქ. თბილისი, მერაბ ალექსიძის ქ. #12, მე-10 სართული, სადაც მომმართა თავად ამრ გამალ აბდელათი აბდელგანმა, რომელმაც წარმომიდგინა მინდობილობა, განაცხადა, რომ გაცნობილია შინაარსს და არ საჭიროებს თარჯიმნის მომსხურებას და მოითხოვა მასზე საკუთარი ხელმოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად ამრ გამალ აბდელათი აბდელგანმა (ეგვიპტის მოქალაქე, დაბადებული 10.01.1985წ. ბინადრობის მოწმობა #20TR01618, პირ. #01391025956, მის: თბილისი ვახუშტი ბაგრატიონის ქ. N 3ა ბ. 78ა) მომმართა.

მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი მისი ნების გამოვლენის ნამდვილობაში. შემდეგ მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი აღნიშნულ დოკუმენტს. მე, ნოტარიუსმა სალომე სალუქვაძემ ხელმომწერ პირს განვუმარტე, რომ ვადასტურებ აღნიშნულ დოკუმენტზე მისი ხელმოწერის სინამდვილეს და პასუხს არ ვაგებ დოკუმენტის შინაარსზე და სამართლებრივ შედეგებზე. გადახდილია სახელმწიფო: "სანოტარო მოქმედებათა შესრულულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბერს მიღებული #507-ე დადგენილების 31.3-ე მუხლის თანახმად (სამი ეგზემპლიარისათის) 59.00 ლარი, 32.4-ე მუხლის თანახმად 35.00 ლარი, საქართველოს საგადასახადო კოდექსისი 166-ე მუხლის თანახმად 10.62 ლარი და 39.1. მუხლის თანახმად ელექტრონულ რეესტრში რეგისტრაციისათვის 5.00 ლარი. სულ გადახდილია 109.62ლარი.

ნოტარიუსი სალომე სალუქვაძე

საქართველო GEORGIA NOTARY PUBLIC სალომე სალუქვაძე

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18


შეკერილია და დანომრილია
ფურცლად
ბეჭდვითია